ახალი ხარაგაული

352 (11) 18 მაისი, 2017 წ

ხარაგაულში დიადი გამარჯვების 72 წლის იუბილე აღინიშნა

9 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (უფროსი ირინე ჩხეიძე) ორგანიზებით ფაშიზმზე გამარჯვების 72 - ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა 9 მაისის მემორიალი გვირგვინით შეამკო და ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა. ამჟამად ხარაგაულში 13 ომის ვეტერანია, მათგან გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მხოლოდ ორმა - გიორგი ბლუაშვილმა და იური ბუაჩიძემ - შეძლო მოსვლა.

სამამულო ომის გმირებს სიტყვით მიმართა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ და აღნიშნა, რომ სწორედ ამ ადამიანების დამსახურებით ჩვენმა სამშობლომ დიდ გამარჯვებას მიაღწია.

,,თქვენ ხართ საქართველოს სიამაყე, რადგან უდრეკად იდექით ქვეყნისა და ერის მთლიანობის სადარაჯოზე. ერთმანეთის თანადგომა, ერთგულება და თავგანწირვა თუ არ არსებობს მეგობრობაში, პატრიოტიზმში, ყველაფერი ფუჭი და ამაოა. მინდა, დიდი პატივისცემა გამოვხატო თითოეული თქვენგანის მიმართ და მოგილოცოთ დღევანდელი დღე,“-აღნიშნა გამგებელმა.

გიორგი ბლუაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა ყურადღებისა და დაფასებისათვის.

,,დაე, მშვიდობიანი და უღრუბლო იყოს თქვენი სამომავლო ყოფა, თავისუფლების უქრობი მზე ენთოს თქვენს სულებში, გამარჯვებულ და გაბრწყინებულ საქართველოში გეცხოვროთ.“ – დასძინა ვეტერანმა.

72 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისტორიას ჩაბარდა თავისი შედეგებითა და მასშტაბებით ყველაზე სასტიკი ომი... ომი, რომელიც 1418 დღე გრძელდებოდა და 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დიდი სამამულო - ასე უწოდეს ამ ომს. მისი ისტორია სავსეა ვაჟკაცობის, შემართებისა და გმირობის ბრწყინვალე მაგალითებით. რაც უფრო მეტი დრო გადის ფაშიზმზე გამარჯვების დღიდან, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამ გამარჯვების საკაცობრიო მნიშვნელობა. ხარაგაულის რაიონიდან ფრონტზე 5706 კაცი გაიწვიეს, აქედან 2704 მეომარი შინ აღარ დაბრუნებულა. 798 გმირული ბრძოლისათვის დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 6 მათგანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

ომის ველზე წასული 19 მამაშვილი უკან აღარ დაბრუნებულა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ერთი ოჯახიდან ომში 4-5 ძმას უწევდა წასვლა. ასე დაეცა ბრძოლის ველზე ოთხი ძმა - სახვაძეები - ვერტყვიჭალიდან, ოთხი ძმა - ავალიანები-სარგვეშიდან, ოთხი ძმა - ტაბატაძეები -ხევიდან, ხუთი ძმა - კუპატაძეები-ვანიდან და სხვა. შინ დარჩენილ ხარაგაულელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდათ გამარჯვებაში. ჩვენი რაიონიდან გაიგზავნა 13 მილიონი მანეთი სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავების შესაძენად, 18 მილიონი-თავდაცვის ფონდში. შეგროვდა 100 ტონაზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტი. ასე უპასუხეს ხარაგაულელებმა მოწოდებას -,,ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის.“

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამამულო ომის გმირებს 600 ლარი ჩაერიცხებათ, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათთვის 200 ლარი გამოიყო. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობა ომის ვეტერანებს ყოველთვიურად კომუნალურ ხარჯებს უფარავს.

ნიკოლოზ თოფურიძემ ფაშიზმზე გამარჯვების დღე ომის ვეტერან შაქრო მაღლაფერიძეს პირადად მიულოცა

9 მაისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ომის ვეტერან შაქრო მაღლაფერიძეს ოჯახში სტუმრობდა. გამგებელმა სამამულო ომის გმირს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვა.

შაქრო მაღლაფერიძე 18 წლის ასაკში გაიწვიეს საბრძოლველად. 21 წლის დაბრუნდა და ამის შემდეგ შექმნა ოჯახი. 93 წლის ომის მონაწილეს მეუღლე, 4 შვილი, 8 შვილიშვილი და 16 შვილთაშვილი ჰყავს.

გამგებელმა შაქრო ბაბუას სიმბოლური საჩუქრები გადასცა, გამგეობის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსმა ალექსანდრე ტაბატაძემ კი - პრემიერ მინისტრის მისალოცი ბარათი.

შაქრო მაღლაფერიძეს ადგილობრივი ხელისუფლებისგან 200 ლარი, ხოლო საქართველოს მთავრობისგან 600 ლარი პირად ანგარიშზე ჩაერიცხება.

საკრებულოს თავმჯდომარემ მანანა ბარბაქაძემ ომის ვეტერანები მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან ერთად, დაბა ხარაგაულში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე ტკბილეულითა და მათი ღვაწლის მიმართ სიყვარულით გაჯერებული სიტყვებით მიულოცა:

,,შეუფასებელია ის ამაგი, რაც თქვენი თავდადებით შთამომავლობას უბოძეთ. თქვენგან გადატანილი ბრძოლის ყოველი დღე იქცა ქვეყნის თავისუფლების ქვაკუთხედად. თითოეული თქვენგანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა კვლავ მომავალ ბედნიერ დღეთა შუქურაა!“-დასძინა ქალბატონმა მანანამ.

მეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა ახალგაზრდებისთვის ვეტერან გიორგი (ჟორა) ბლუაშვილთან შეხვედრა.

ომის ქარცეცხლიანი დღეების მონაწილემ არაერთი ეპიზოდი უამბო მათ იმ მძიმე წლებიდან და ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, თუ რა დიდი განძია მშვიდობა.

ახალგაზრდებმა ომის მონაწილეს მათთვის საინტერესო თემებზე კითხვები დაუსვეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

სმენადაქვეითებულ ბავშვებს საჩუქრად სმენის აპარატები გადაეცემათ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის შვედ ექიმებს შეხვდა. ასოციაცია, პროგრამის კოორდინატორ მაია ჯონსონთან ერთად, ხარაგაულში მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს. სოციალური პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად კვლევა ჩატარდება და საჭიროების შემთხვევაში პაციენტებს სმენის აპარატები საჩუქრად გადაეცემათ.

შვედეთის დელეგაციის წევრებმა, მაია ჯონსონთან ერთად პროექტის მიმდინარეობის გეგმა და დეტალები მუნიციპალიტეტის გამგებელს გააცნეს და აღნიშნეს, რომ შვედი ექიმების ჯგუფი მაღალი დონის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. მათივე ინფორმაციით, კვლევები ხარაგაულში 21 დღის განმავლობაში გაგრძელდება და ჯამში 669 მოსწავლეს ჩაუტარდება.

გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მადლობა გადაუხადა სტუმრებს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მსგავს ინიციატივებს ყოველთვის მხარს დაუჭერს.

შეგახსენებთ, რომ პროექტი ხარაგაულში პროგრამის კოორდინატორის, ქალბატონი მაია ჯონსონის, ძალისხმევითა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით ხორციელდება, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ინგა ბერაძე და ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი(დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე).

ნიკოლოზ თოფურიძე ნადაბურისა და ხევის მოსახლეობას შეხვდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძესთან ერთად ნადაბურისა და ხევის მოსახლეობას შეხვდა. გამგებელი ადგილობრივების პრობლემებს პირადად გაეცნო და იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა, რომლის განხორციელებაც მიმდინარე წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში იგეგმება. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ აღნიშნა, უახლოეს მომავალში ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბაღის მშენებლობა დაიწყება, სოფელ წაქვაში კი ცენტრალურ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება. გამგებელი ამბობს, რომ ხარაგაულში უპრეცედენტო რაოდენობის პროექტი განხორციელდება და, საერთო ჯამში, რეგიონალური განვითარების ფონდიდან მიმდინარე წელს სამ მილიონ - ნახევარ ლარზე მეტი დაიხარჯება.

შეხვედრაზე მოსახლეობამ იმ პრობლემებზე ისაუბრა, რაც მათ წინაშე ყველაზე მწვავედ დგას. ძირითად პრობლემად ხე-ტყეზე მიუწვდომლობა

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ნიკოლოზ თოფურიძე ნადაბურისა და ხევის მოსახლეობას შეხვდა

დასაწყისი▶ 1 გვ.

და ნადაბურში სამედიცინო ამბულატორიის არქონა დასახელდა. ადგილობრივებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებითაც. დამატებითი თანხები მოითხოვეს ნადაბურელებმა ხიდ-ბოგირების შესაკეთებლად და ხევის მოსახლეობამ - შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციოდ. ხევში ასევე წყლის მილები ესაჭიროებათ.

ნიკოლოზ თოფურიძემ აღნიშნა, რომ ნადაბურის გზა მომავლ წელს მობეტონდება. რაც შეეხება შიდა საუბნო გზებს, გამგებელი ამბობს, რომ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა 2020 წლისთვის ყველა სოფელში გზა რეაბილიტირებული იყოს. რაც შეეხება ფულადი შემწეობის დანიშვნა-გაუქმებას, თოფურიძე განმარტავს,

რომ ეს სოციალური მომსახურების სააგენტოს კომპეტენციაში შედის და ადგილობრივი თვითმმართველობა ამ საკითხების გადაწყვეტაში ვერ ერევა. გამგებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოქალაქეებს ხშირად უჩნდებათ არასამართლიანობის განცდა, რადგან, ზოგ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი ეკონომიური შესაძლებლობის მქონე ოჯახს ენიშნება ფულადი დახმარება და ვისაც უჭირს - არა. იგი მიიჩნევს, რომ სისტემაში ხარვეზებია, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. რაც შეეხება სამასალე და საშეშე მერქნის მოპოვებას, თოფურიძის თქმით, ამ პრობლემის მოსაგვარებლად კანონი უნდა შეიცვალოს, რაზეც პარლამენტში მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს.

დასასრულს, ნიკოლოზ თოფურიძემ, შეკრებილ მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა და თვითმმართველობის კომპეტენციის ფარგლებში პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა.

ეკა შავიძე

რეგიონალური განვითარების ფონდიდან შესაძლოა, 4 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები დაფინანსდეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მუნიციპალიტეტში დამატებითი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე იმსჯელეს. გამგეობის კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, დეპუტატებს 13 ახალი პროექტი წარუდგინა, რომლებიც დასაფინანსებლად რეგიონალური განვითარების ფონდს გაეგზავნება.

აღნიშნული საკითხის განხილვას აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ბიუროს რამდენიმე წევრი მიიჩნევს, რომ პროექტთა ნუსხაში ცვლილებები უნდა შევიდეს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, სოფელ ქროლსა და ღარიხევში, დეკანოსიძეების უბნის გზის რეაბილიტაცის აუცილებლობაზე საუბრობს. ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე, თორნიკე ავალიშვილი დაბაში ანზორ კიკნაძის ქუჩისა და კიცხში ავალიშვილების უბნის გზების რეაბილიტაციაზე ამახვილებს ყურადღებას.

ნადაბურის პრობლემებზე საუბრობს მაჟორიტარი დეპუტატი, მიხეილ გელაშვილი. მისივე თქმით, ძამულას უბანში გზა ფაქტობრივად აღარ არსებობს და მოსახლეობის გადაადგილების ერთადერთი საშუალება ბოგირია. გელაშვილის განმარტებით, ცუდ მდგომარეობაშია გოლისის შიდა საუბნო გზებიც.

სოფელ საქარიქედის გზის მოწესრიგების აუცილებლობაზე დეპუტატმა მარინე ვეფხვაძემ გამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ სოფელში გზა ჩაწყვეტილია და სასწრაფოდ ესაჭიროება რეაბილიტაცია.

მალხაზ ფხალაძემ, ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ პრობლემებზე ოფიციალურად უნდა მიმართონ გამგეობის შესაბამის სამსახურს.

რომელი ინფრასტრუქტურული პროექტები გადაიგზავნება რეგიონალური განვითარების ფონდში დასაფინანსებლად საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულო მორიგ სხდომაზე მიიღებს, მანამდე კი საკითხს შესაბამისი კომისიები განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულმა ფონდმა ხარაგაულში 3 მილიონ- ნახევარი ლარის ღირებულების 14 პროექტი უკვე დააფინანსა.

გთავაზობთ იმ საპროექტო წინადადებათა ჩამონათვალს, რომელსაც მუნიციპალიტეტი რგფ-ში დასაფინანსებლად უახლოეს მომავალში წარადგენს:

1. სოფელ ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია(984 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 176 124 ლარი);

2. სოფელ ლეღვნის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (4 076 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 813 130 ლარი);

3. სოფელ ვაშლევის გზის რეაბილიტაცია (882 მეტრი, სავარაუდო ღირებულება -131 450 ლარი);

4. სოფელ ჩრდილის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (2 400 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 325 083 ლარი);

5. სოფელ კიცხის გზის რეაბილიტაცია (2 500 მეტრი, სავარაუდო ღირებულება -356 188 ლარი);

6. სოფელ ღვერკის გზის რეაბილიტაცია (1 400 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 161 414 ლარი);

7. ლაშის ადმინისტრაციულ ერთეულში (ხემალაღალში 2 100 მეტრი გზის, ხოლო მანჯავიძეების უბანში 250 მეტრი გზის რეაბილიტაცია, სავარაუდო ღირებულება 275 000 ლარი);

8. სოფელ ლახუნდარის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია (2 350 მეტრი, სავარაუდო ღირებულება - 400 000 ლარი);

9. სოფელ ვარძიის პირველი უბნის 1 500 მეტრიანი გზის რეაბილიტაცია (სავარაუდო ღირებულება 161 135 ლარი);

10. სოფელ ბორის 2 000 მეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია(სავარაუდო თანხა 357 266 ლარი);

11. სოფელ თეთრაწყაროს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (2 600 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 370 542 ლარი);

12. სოფელ საქარიქედის 2 200 მეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია(სავარაუდო ღირებულება 313 634 ლარი);

13. ლეღვან-მარელისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (4 600 მეტრი, სავარაუდო ღირებულება 554 306 ლარი);

თამარ მაღრაძე

თბილისის ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ხარაგაულელი მამა შოთა (ბაბლიძე) მრევლთან ერთად ,,დარისპანის გასაჭირს'' დაესწრო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა (რეჟისორი ირინე ჩხეიძე) სტუმრებს უმასპინძლა. თბილისის ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ხარაგაულელი მამა შოთა (ბაბლიძე) მრევლთან ერთად სპექტაკლ „დარისპანის გასაჭირს" დაესწრო.

200-მდე სტუმარმა ხარაგაულის კინოთეატრში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სასიამოვნო ერთი საათი გაატარა. ,,დარისპანის გასაჭირს" მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე ესწრებოდნენ.

თეატრის რეჟისორის, ირინე ჩხეიძის ინფორმაციით, სპექტაკლი დასმა სპეციალურად სტუმრებისთვის ითამაშა და ეს ერთგვარ ტრადიციად იქცა. „2015 წლის ზუსტად მაისის თვე იდგა, როცა ჩვენ იმავე აუდიტორიისთვის ილია ჭავჭავაძის „თანამდევი სული" ვითამაშეთ. იყო უსაზღვრო ემოცია, განსხვავებული და საოცრად თბილი მაყურებელი. მაშინვე დაიგეგმა მომავალში ხარაგაულში სტუმრობა და წელს მათ უკვე სხვა სპექტაკლი ვაჩვენეთ", -აღნიშნა ირინე ჩხეიძემ.

მამა შოთა სიამოვნებით იხსენებს მრევლთან ერთად პირველ ვიზიტს ხარაგაულში და აღნიშნავს, რომ ახლაც წარუშლელი შთაბეჭდილებებით ბრუნდება უკან. იგი მადლობას უხდის ხარაგაულის თეატრალურ დასს და ქალბატონ ირინე ჩხეიძეს სასიამოვნო წუთებისთვის.

თეონა საბაძე (მამა შოთას მრევლი): „წინა სპექტაკლის ნახვის შემდეგ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიყავით სანეტარო შთაბეჭდილებების ქვეშ. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, გვენახა „დარისპანის გასაჭირი." სპექტაკლი ძალიან მომეწონა, სურვილი მაქვს, კიდევ ბევრჯერ ჩამოვიდე ხარაგაულში."

საღამომ ოვაციების ფონზე ჩაიარა. აპლოდისმენტები და სამადლობელი სიტყვები დიდხანს არ წყდებოდა.

ეკა შავიძე

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს ,,რკინის ჯვარი" 400-მდე ადამიანმა მოილოცა

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს, 12 მაისს, ხარაგაულში „რკინის ჯვარი" 400-მდე ადამიანმა მოილოცა. 15 წლის წინ, ხარაგაულელი შოთა ხარატიშვილის ინიციატივით, „რკინის ჯვარზე" მოსალოცად ხარაგაულელი ახალგაზრდები პირველად ავიდნენ. ამის შემდეგ მსვლელობა ტრადიციად იქცა და ყოველ წელს პილიგრიმების რაოდენობა იმატებს. გადმოცემის თანახმად, ანდრია მოციქულმა საქართველოში მოგზაურობისას რამდენიმე ადგილზე აღმართა ჯვარი, მათ შორის, ხარაგაულის ტერიტორიაზე, მთა „რკინის ჯვარზე", რომელიც ზღვის დონიდან 2439 მეტრზე მდებარეობს. მომლოცველებმა წმინდა ანდრია პირველწოდებულის მირონმდინარი ხატი მოციქულის ნაკვალევზე გაატარეს და ,,რკინის ჯვარზე" დააბრძანეს. წელს, რთული მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე, პილიგრიმებმა საკმაოდ სახიფათო გზა გაიარეს. არაერთი დაბრკოლების მიუხედავად, უფლის ნებით ტური მშვიდობიანად დასრულდა.

ამავე დღეს მომლოცველთა ნაწილმა ერთ-ერთი უძველესი სოფელი სახულარი დაათვალიერა. „ნასოფლარი" - ასე უწოდებენ მთაში ჩაკარგულ ამ სოფელს, სადაც ამჟამად მხოლოდ რვა ოჯახი ცხოვრობს. „ნასოფლარში" ადგილობრივი წარმოების პროდუქტის გამოფენა-დეგუსტაცია მოეწყო.

,,ანდრიაობას" ხარაგაულში ტურ ოპერატორი მოსკოვიდან კირა სმორჩკოვა, კინორეჟისორი, პროდიუსერი, ჰოლივუდში სტუდია „მფრინავი კუს" მფლობელი ბესარიონ გიორგობიანი, მოლაშქრეთა კლუბ „მწვანე ზებრას" ხელმძღვანელი ლევან გეჯაძე, off roader-თა ქუთაისის კლუბის წევრები და მომლოცველები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სტუმრობდნენ.

მსვლელობა „რკინის ჯვარზე" ტურიზმის ცენტრისა და (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ხარაგაულელი ახალგაზრდა ინიციატორების ორგანიზებით გაიმართა. თანადაფინანსებაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის გამგეობამ (გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე) და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ (ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი) მიიღო.

ეკა შავიძე

როდის აღდგება წყლის მიწოდება პატარა ხარაგაულში

რამდენიმე დღეა პატარა ხარაგაულის მოსახლეობის ნაწილს წყალი არ მიეწოდება. წყალი შეუწყდა ასევე დაბის №2 საბავშვო ბაღს, ხარაგაულის ამბულატორიასა და საავადმყოფოს. აღნიშნული პრობლემა სოლომონ მეფის ქუჩაზე მდებარე წყალსადენში, წყალსაქაჩი ტუმბოს მწყობრიდან გამოსვლამ გამოიწვია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, ხელმძღვანელობს. პრობლემის მოგვარების მიზნით შტაბი აქტიურად მუშაობს და საკითხის შესწავლა დეტალურად მიმდინარეობს.

როგორც ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების" დირექტორი, თემურ ფურცელაძე, განმარტავს, ამ დროისთვის წყალი არ მიეწოდება 67 ოჯახს. რაც შეეხება ამბულატორიასა და საავადმყოფოს, ამ ორი ობიექტის წყლით მომარაგებას ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავება" უზრუნველყოფს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ალტერნატიული წყლის სისტემით წყალი მიეწოდება დაბის №2 საბავშვო ბაღსაც.

ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება კომპანიასთან, რომელმაც წყალსადენზე სამუშაოები შეასრულა, რადგან მას ორი წელი ვალდებულება აქვს, გარკვეული პრობლემები აღმოფხვრას.

შტაბის წევრები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება შედგება და პატარა ხარაგაულის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდება უახლოეს მომავალში აღდგება.

საერებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო

ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მანანა ბარბაქაძემ, სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკო და ადგილობრივებს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა. ქალბატონ მანანას ინიციატივით, ამავე დღეს გამარჯვების 72-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება მოეწყო ბორითში, სადაც ვეტერანებისა და დაღუპული გმირების პატივსაცემად ადგილობრივმა ახალგაზრდებმა სხვადასხვა მუსიკალური ნომრები შეასრულეს და ლექსები წაიკითხეს.

ერთი დღე ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში

10 მაისს ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში „ცოდნის კვირეული“ ჩატარდა. ხარაგაულის რესურსცენტრის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო კვირეულში სკოლა ყველა აქტივობაში მონაწილეობდა, მაგრამ ტრადიცია, რომელიც 10 წელს ითვლის, არ დაირღვა და სკოლამ შთამბეჭდავი და ლამაზი ღონისძიება კვლავ შემოგვთავაზა. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა საჩვენებელი პროექტი-გაკვეთილი ქიმიაში, რომელზეც მეცხრე კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი მანანა ჯიქურიძე) ეკოლოგიურ პრობლემებზე საინტერესო პრეზენტაცია აჩვენეს. დაწყებითი კლასებისა და ხელოვნება-ესთეტიკური აღზრდის კათედრამ (პედაგოგები: ლეილა ბარბაქაძე, გულნაზ აბრამაშვილი) ,,ანბანის გაცილება“ ძალიან ლამაზი ნომრით წარმოგვიდგინეს.

დასკვნით ღონისძიებაზე, სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა მოსწავლეების მიერ შესრულებული ცეკვა, სიმღერა და ლექსი, სკოლის კურსდამთავრებულებმა: დეკანოზმა მირიან სამხარაძემ, დეკანოზმა თევდორე გოგოლაძემ, რეჟისორმა კობა სხილაძემ და კობა კურტანიძემ სკოლის კედლებში გატარებული წლები გაიხსენეს.

,,ვერტყვიჭალის სკოლა ყოველთვის გამორჩეული იყო თავისი პედაგოგებითა და აღზრდილებით. მიხარია, რომ ეს ტრადიცია გრძელდება. აქ ჩვენ არა მარტო საგნებს გვასწავლიდნენ, არამედ მოყვასისა და სამშობლოს სიყვარულს გვინერგავდნენ. ვფიქრობ, ჩემი დისიდენტური ცხოვრების გზა ამ სკოლის პედაგოგების დიდი დამსახურებაცაა.“ – განაცხადა მამა მირიანმა.

სკოლის დირექტორის და პედკოლექტივის მიმართ სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მონწეულმა სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის თანამშრომლები და სკოლას სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. დავით კიკნაძემ ქალბატონ ლენა აბაშიძის ღვაწლზე ისაუბრა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა ერთ-ერთი წარმატებულია, რაც დირექტორის დაუღალავი შრომის შედეგია.

როგორც ჩვენთან საუბარში ქალბატონი ლენა განმარტავს, „ცოდნის კვირეულის“ მიზანია, შემაჯამებელი ანგარიში გაუკეთოს წლის განმავლობაში პედაგოგებისა და მოსწავლეების მიერ გაწეულ მუშაობას. ,,ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო ღონისძიებაა. ყველა კმაყოფილია – ბავშვებიც, პედაგოგებიც, მოწვეული სტუმრებიც. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც უშუალოდ მონაწილეობა მიიღო „ცოდნის კვირეულში“ და წვლილი შეიტანა ამ დღეების გალამაზებაში“. - დასძინა სკოლის დირექტორმა.

ლელა გუგულაშვილი

იმ ქარიშხლიანი დღეების ექო

იცნობდით თეთრაწყაროელ ,,ოთარაანთ ქვრივს“ - ნადეჟნა გველესიანს?

,,თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს
თვალი მოუხუჭე,
ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი
ლეკი ნაბადსა.“
ილი ჭავჭავაძე ,,ოთარაანთ ქვრივი“

„ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა...“
გიორგი ლეონიძე
,,არ დაიდარდო,დედაო!“

ძვირფასო მკითხველო!

არ იფიქრო, რუსულ ენაზე საკუთარ სახელთა მართლწერაში ,,მოვიკოჭლებდე“. არა, ამას ნამდვილად ვერ ვაკადრებ რუსული ენის ჩემს მასწავლებლებს, ისეთ ოსტატებს, როგორებიც იყვნენ: ნიკოლოზ (კოლია) დეკანოსიძე, მიხეილ ჩიკვაიძე, არსენ ციქანიშვილი, ელენე გურგენიძე - მშვიდობა მათ სულებს! ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს სილამაზისა და ნამდვილი სათნოების ეტალონი, ჩემი ლამარა მასწავლებელი- ლამარა ბერაძე-კომპოზიტორ შოთა მილორავას მეუღლე...


ნადეჟნა გველესიანი

ჰოდა, ნამდვილად არ მეშლება სათაურში მოხმობილი სახელის ეტიმოლოგია, რომ იგი მშვენიერი რუსული სიტყვიდან მომდინარეობს და მართლწერის შესატყვისად უნდა დავწერო ,,ნადეჟდა“ (იმედი), მაგრამ მთელი სოფელი, ჩემი უსაყვარლესი თეთრაწყარო, ასე მიმართავდა ნადეჟნა ბებიას- თანასოფლელთა იმედს, ნუგეშს, სიმართლის ქომაგს, სიცრუესთან შეურიგებელს, საძრახისის პირში მთქმელს, გულმოწყალესა და სულით ძლიერს...

არც ეპიგრაფები შემირჩევია შეუსაბამოდ. ეჭვი არც თქვენ გეპარებათ, რომ მარტო კახეთს ან ქართლს როდი ჰყავდა ოთარაანთ ქვრივი. უფრო სწორად - ოთარაანთ ქვრივის მსგავსი დედაკაცები ჰყავდა საქართველოს ყოველ კუთხე-სოფელს და ჰყავდა ულამაზესი იმერეთის ულამაზეს სოფელს - ჩემს თეთრაწყაროს...

ნადეჟნა ბებომ ძნელბედობის ჟამს სამი ,,ღიმილის ბიჭი“ მიაშველა სამშობლოს, რომელთა ბიოგრაფიაშიც ეპითეტი ,,ღიმილის ბიჭი“, სამწუხაროდ, ,,შინმოუსვლელმა“ შეცვალა...

* * *

უბისის წმინდა მიწისა და გრიგოლ ხანძთელის აგებული მონასტრის მადლი გამოჰყვა თეთრაწყაროში რძლად შემობრძანებულ სებისკვერაძის ასულს, როცა მან ცხოვრების თანამგზავრად ღირსეული ვაჟკაცი, ბესარიონ გველესიანი, აირჩია და არც შემცდარა, რადგან უფლისა და შრომის სიყვარული უხვად ჰქონდა მიმადლებული მის გულის სწორს.

ღვთის შეწევნით შრომისმოყვარე წყვილმა ეზო-კარი ბაღნარად აქცია, ოდა-სახლი წამოჭიმა; კერა სამი თვალმერცხალა ბიჭისა და ერთი ანცი გოგონას ჟრიამულმა აახმიანა...

– ბესარიონი რომ სიმღერას დააგუგუნებდა და ცოლ-შვილი აჰყვებოდა, ყური უკეთესს ვერას მოისმენდაო, – ხშირად მსმენია ბავშვობისას ჩემს სოფელში...

– სიზმარში სულ შავი კაბით გხედავ, ჩუმად, ჩემს უკითხავად ხომ არ აპირებ დაქვრივებას, ჩემო ნადო! – უთქვამს ერთხელ ენამოსწრებულ მეუღლეს ნადეჟნა ბებიასათვის. სულ ოციოდე წელს ითვლიდა მაშინ ერთ ჭერქვეშ მათი სიამტკბილობის ყოფა... და აკი ახდა სიზმარი – 1935 წელს ერთგული თანამეცხედრის ტრაგიკულად დაღუპვამ გლოვის სამოსში გაჰხვია ახალგაზრდა ქალი.

– მხარში დამიდექით, ჩემო შვილებო, კერა არ გავაციოთ, საფლავში არ შეინძრეს ჩემი ბესარიონის ძვლები, მტერ-მოყვარეს პასუხი თქვენით უნდა გავცე, - იმედით მოძღვრავდა შაოსანი დედა 20 წლის გრიგოლს, 17 წლის დავითს, 12 წლის ვლადიმერსა და 9 წლის ჟუჟუნას...

გრიგოლ, დავით და ვლადიმერ გველესიანები

და შვილებიც თავიანთი ზნეკეთილობით ჭირის გასაადვილებლად და მომავალ ლხინის დღეებთან შესახვედრად ამზადებდნენ გამრჯე და სიკეთით გულსავსე დედას...

თუმც მალე ომის ქუფრმა ღრუბელმა თეთრაწყაროს კრიალა ცაც დააბნელა და სოფლიდან ოთხმოცდათვრამეტ გაწვეულთაგან სამმა ვაჟკაცმა- გრიგოლ, დავით და ვლადიმერ გველესიანებმა- თილისმად დედის ლოცვა გაიყოლა.

დაიწყო დედისთვის უსასრულო მოლოდინითა და მონატრებით აღსავსე დღეები... და უწყვეტად მოედინებოდა სამი ჯარისკაცის სამკუთხა ბარათები ფრონტის ხაზებიდან...

– ,,ჩემო საყვარელო დედიკო! ვიცი, რა გაუსაძლისია შენი ყოფა უჩვენოდ, გაჭირვება ხომ შენთვის უცხო არ არის, მაგრამ ახლა შენზე მეტად სამშობლოს ვჭირდებით, მას ვერ ვუღალატებთ. ჩვენი საქმე სამართლიანია. მალე საკუთარ ბუნაგში გამოვამწყვდევთ ჰიტლერს და გმირებად დაგიბრუნდებით, დამიკოცნე ჩემი დაიკო, ჩემი ჟუჟუ!“ ეს შუათანა ძმის, დავით გველესიანის, ბოლო წერილია ბელორუსიიდან. ის ჯერ კიდევ სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნის წლებში გაიტაცა სამხედრო საქმემ. ბელორუსიაშივე დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი, უფროსი ლეიტენანტის წოდება მოიპოვა და ომიც დაიწყო...

* * *

ჩემი ბავშვობის ფრთახატულა დღეებმა გაუხუნებლად შემოინახა წმინდა სახე დედისა, რომელიც ხელში პატარა ხელადით, თეფშზე მჭადითა და ყველით ხშირად სთხოვდა ეზოსთან გამვლელ-გამომვლელს: ერთი ჭიქით ბიჭები დამილოცეთ, რომ ჩემს ლოცვა-ვედრებას თქვენი სადღეგრძელოც შეუერთდეს, ეგებ მისწვდეთ ხმა და უვნებლად დამიბრუნდნენ!...

დედას არა და არ სჯეროდა, რომ მისი ვაჟკაცები ამქვეყნიურ სამზეოს დიდი ხანია, აღარ ამშვენებდნენ; არ ეჯერა არც იმ ცნობისა, სამხედრო კომისარიატი რომ აუწყებდა გრიგოლის, დავითისა და ვლადიმერის უგზო-უკვლოდ დაკარგვას...

შრომით იქარვებდა გულში ვერდატეულ დარდსა და წუხილს, წამითაც არ მოდუნებულა, წამითაც არ მოუხრია ქედი ბოროტი ხვედრის წინაშე. მთელი მზრუნველობა ერთადერთ იმედზე – ქალიშვილზე – გადაიტანა და სოფლის თვალადაც აქცია..

- სწავლით უნდა შეეჭიდო ამ ტიალ წუთისოფელს, - მოძღვრავდა ქალიშვილს და დედის ბოლო იმედმაც არ დააყოვნა- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებულმა ჟუჟუნა გველესიანმა ცოდნის ჩირაღდანი აუნთო მშობლიური სოფლის მომავალს და პატრიოტი მოგვარისა და ახლობლის, თამაზ გველესიანის, თანადგომით ძველი დაწყებითი სკოლის პატარა შენობის ნაცვლად რვაწლიანი სკოლის სამსართულიანი შენობა წამომართა...

ჟუჟუნა გველესიანი

თეთრაწყაროელთა დამოძღვრის შემდეგ ქართლის შუაგულს – გორს – გადასწვდა და მეათე საშუალო სკოლაში წლების განმავლობაში ქართული პროზისა და პოეზიის მადლს აზიარებდა ქართლელ ახალგაზრდებს. აქვე არ შემიძლია, მადლიერებით არ მოვიხსენიო სამეგრელოს მინაზე აღზრდილი ჭეშმარიტი რაინდი, აწ განსვენებული იროდი იოსავა, ჟუჟუნა გველესიანის მეუღლე, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის დიდი საწარმოს – გორის ბამბეულის კომბინატის - რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ცენტრის მთავარი ინჟინერი, რომლის სულშიც უქრობად შენივთდა სამი შინმოუსვლელი უცნობი ცოლისძმის სიყვარული და მალამოდ დაედო სიდედრის, ნადეჟნა გველესიანის, გულის ჭრილობას...

უფალმაც სიკეთის წილ სიკეთე მიუზღო და დღეს ჟუჟუნა გველესიანისა და იროდი იოსავას მადლით აღზრდილი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები ნამდვილად ამშვენებენ და ალამაზებენ ჩვენი მამულის სამომავლო დღეებს...

* * *

ჩემო შინმოუსვლელო თეთრაწყაროელებო, სამოცდაერთო ,,ბეჭდზედ არწივდახატულო“ ვაჟკაცო!

ალბათ სიმბოლურად გამოვხატე ჩემი უსაზღვრო სიყვარული თქვენდამი, როცა 1981 წლის ივლისში ოჯახის წევრებთან ერთად ექსკურსიით მოვიარე ანაპა და ნოვოროსიისკი, ყირიმის ცეცხლოვანი მიწა - ქერჩი, სევასტოპოლი, სიმფეროპოლი, აჯიმუშკაის კატაკომბები, გლაზოვკა-იაროსლავცევის ცნობილი ბაღი-სასაფლაო, ბახჩისარაი...

ძმათა სასაფლაოებზე თქვენ გეძებდით: ჩემო გველესიანებო, ვეფხვაძეებო, გიორგიძეებო, ლურსმანაშვილებო, ბერაძეებო, ბანცაძეებო, თავზარაშვილებო, აბაშიძეებო, წულუკიძეებო...

თქვენი სოფლის სანახებიდან: კაციასოულიდან, საფერეებიდან, თეთრადან, ბაკვადან, ხვადასლიდან, ნაროდინებიდან, ,,ცაშეკრულადან“ წამოღებული მიწა დამქონდა და როცა ამ გვარებიდან ვერც ერთს მივაგნებდი, იმ საფლავებზე მიმოვაბნევდი, რომელსაც ეწერა - უცნობი! (ასეთი საფლავი ხომ უამრავია...).

დიახ, მქონდა სრული რწმენა, რომ იქ თქვენი მფეთქავი გული იყო დამშვიდებულ-დაწყნარებული...

სამარადისო დიდება თქვენ და დიდხანს სიცოცხლე ომის ქარცეცხლგამოვლილ, უკვე კანტიკუნტად შემორჩენილ ჩვენს გმირ შინმოსულებს!...

ჩემო უტკბესო, სულგანათლებულო ნადეჟნა ბებია!

ბედნიერი ვარ, რომ ახლოს, ძალიან ახლოს გიცნობდით თეთრაწყაროელ ოთარაანთ ქვრივს; თქვენგან გამოფრქვეული გულის სითბო მილამაზებდა ჩემს ბავშვობას, მოსწავლეობას, სტუდენტობას...

ღმერთმა უმრავლოს სრულიად საქართველოსა და ჩემს საფიცარ თეთრაწყაროს, თქვენი ბედის არა, მაგრამ თქვენი ზნეობისა და ჯიშ-ჯილაგის ვაჟკაცი ქალები!...

ამინ!

მერი გიორგიძე

საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში გამოვლენილი გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ

8 მაისს საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილი გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. დაჯილდოების ცერემონიალი ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაიმართა. რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, მადლობა გადაუხადა თითოეულ სკოლას ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისათვის. ,,რომ არა მათი ჩართულობა, ჩვენი თანამშრომლების თავდაუზოგავი შრომა, კვირეული შემოქმედებითად, ინტელექტუალურად, სპორტული და ორიგინალური ღონისძიებებით დატვირთული არ გამოვიდოდა“.-დასძინა ბატონმა დავითმა.

სიგელები გადაეცათ საქველმოქმედო აქციის ,,მე დღეს გოგას დედა ვარ!“ აქტიურ მხარდამჭერებს და საგანმანათლებლო კვირეულში გამარჯვებულებს: ლიზა ბარბაქაძეს (N2 საჯარო სკოლის მოსწავლე), ირინა ბერაძეს (ხიდრის საჯარო სკოლა); მარიამ კოჩაძეს (მარელისის საჯარო სკოლა); ინგა ბუხნიკაშვილს, თეა ტალახაძეს (ბაზალეთის საჯარო სკოლის პედაგოგები); ია დეკანოსიძეს (N2 საჯარო სკოლა); ლალი სებისკვერაძეს (სპმთპ ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე); ნონა მაჭავარიანსა და კესო შარიქაძეს (N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები); ლელა ბუბულაშვილს, თეა ბერიძეს, ივანე ჭიპაშვილს, მაია ბერაძეს, ლევან ნანიტაშვილსა და რევაზ დეკანოსიძეს.

სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა და თანამშრომლებმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლალი სებისკვერაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ და საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, დაჯილდოეს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტის, ნათია კაციტაძის, განმარტებით, აღნიშნული ღონისძიება მუნიციპალიტეტში პირველად ჩატარდა. მისივე თქმით, თანამშრომლებთან მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ კვირეული ყოველწლიურად გაიმართოს.

შეგახსენებთ, რომ გოგა კვინიკაძის დასახმარებლად, აქციის ფარგლებში 10 180 ლარი შეგროვდა, მათ შორის 1 500 ლარი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაიღო. თანხა გოგას ანგარიშზე უკვე ჩაირიცხა.

ლელა გუგულაშვილი

მეორე საჯარო სკოლის მოსწავლე ლიზი ბარბაქაძემ ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი დააარსა

ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლის, ლიზი ბარბაქაძის, ინიციატივით, შემოქმედთა კლუბი დაარსდა. კლუბში კიცხის, ბაზალეთის, მოლითის, მარელისის, წიფის, ლეღვნის, ხარაგაულის მეორე და მესამე საჯარო სკოლების მერვე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები გაერთიანდნენ, რომლებიც საზოგადოებას თავიანთ შემოქმედებას გააცნობენ და ამ კუთხით საკუთარი თავის წარმოჩენის მოტივაციას აიმაღლებენ. ახალგაზრდებმა პირველი შეხვედრა ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში 11 მაისს გამართეს და ერთმანეთს თავიანთი შეხედულებები, სამომავლო გეგმები, იდეები გაუზიარეს. ხმათა უმრავლესობით კლუბს ,,მოხეტიალე ხელოვანები“ დაარქვეს.

პროექტის ფარგლებში დაიგეგმა აქტივობები, რომლებიც მოიცავს კინოჩვენებებს, მინი სპექტაკლებს, პოეზიის საღამოებს, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვებს.

მომდევნო შეხვედრა 31 მაისს ბაზალეთის საჯარო სკოლის ეზოში გაიმართება, სადაც თითოეულ მათგანს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალება მიეცემა: დაწერენ ლექსებს, დახატავენ, შექმნიან ხელნაკეთ ნივთებს.

შეგახსენებთ, რომ პროექტის მხარდამჭერი პარტნიორები არიან: გაზეთი ,, ახალი ხარაგაული“, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ინოვაციების ცენტრი, ისტორიული მუზეუმი, კულტურის სამსახური და გამომცემლობა ,,ჩემი იმერეთი“.

ლელა გუგულაშვილი

ღარიხევში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და შპს „დავითს“ შორის ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებას ხელი მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ მოაწერა, რომლის თანახმად სოფელ ღარიხევში ბეტონის გზა დაიგება. გამგეობამ სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი 68 140 ლარზე გამოაცხადა და გამარჯვებული კომპანია სამუშაოებს 63 109 ლარად შეასრულებს. ხელშეკრულების პირობების თანახმად, ღარიხევში ბეტონის გზა 685 მეტრზე მოეწყობა და სამუშაოები 60 კალენდარული დღის განმავლობაში დასრულდება.

„ესაუბრე ამომრჩეველს“ - ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი პროექტი ამომრჩეველთა ინფორმირებისათვის

ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ამომრჩევლებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზანი მიმდინარე წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმირება გახლდათ. მოსახლეობა გაეცნო ყველა იმ სიახლეს, რაც ცესკოს მიერ საარჩევნო პროცესების ეფექტურად განხორციელებისათვის კეთდება. ამომრჩევლებს დაურიგდათ საინფორმაციო ბუკლეტები და სურვილისამებრ მოხდა კითხვარების შევსება.

ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, გია ცისკაძის, ინფორმაციით, შევსებული კითხვარები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გაიგზავნება და გონივრული შენიშვნები გათვალისწინებული იქნება არჩევნების დროს. მისივე თქმით, 22 მაისს, 12:00 სთ-ზე ხარაგაულის საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩატარდება „ღია კარის დღე,“ რომლის ფარგლებშიც დაინტერესებული პირები მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხორციელდება ახალი პროექტი „ესაუბრე ამომრჩეველს,“ რომელიც მიზნად ამომრჩეველთა ინფორმირებას ისახავს.

თამარ მაღრაძე

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლიაში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნა

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში დირექტორის, ლენა აბაშიძის, უშუალო ხელმძღვანელობით ფაშიზმზე გამარჯვების 72 წლის იუბილე აღინიშნა. მე-8, მე-9, მე-10, მე-11 კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით შეამკეს და მიმდებარე ტერიტორია გაწმინდეს. საფლავი რამდენიმე ხნის წინ ამავე სოფლის მკვიდრის, აწ განსვენებულ გურამ გოგოლაძის, ინიციატივით მოეწყო. ისტორიის პედაგოგმა, თამაზ გოგოლაძემ, გააკეთა მცირე რაკურსი დიდი სამამულო ომის შესახებ და ქართველების განსაკუთრებულ ღვაწლზე ისაუბრა. ამავე დღეს ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ლენა აბაშიძემ, მოსწავლეებთან ერთად მოინახულა და საჩუქარი გადასცა ომის ვეტერანს, მედიცინის დამსახურებულ მუშაკს, 97 წლის ელენე ბლიაძეს.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები: ანა გლიაძე, ნინო გოგოლაძე.

ხარაგაულის ყინოთეატრში ანსამბლი „ჯახორის“ სოლო კონცერტი გაიმართა

11 მაისს ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორულ ანსამბლ „კახორის“ (ლოტბარი ალეკო მიქელაძე) ხუთი წლის იუბილესადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე თემურ ჩხეიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. „კახორში“ მყოფი ბიჭების უმეტესობა ბავშვობიდან ერთად მღერის. ანსამბლი ამ სახელწოდებით 2012 წელს ჩამოყალიბდა, მანამდე კი „საუნჯის“ სახელით მოღვაწეობდა. ამ წლების განმავლობაში მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. „კახორს“ მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ფესტივალზე და არაერთი საპრიზო ადგილისა და გრანპრის მფლობელია.

ანსამბლის წევრების მომღერლებად აღზრდასა და ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აწ გარდაცვლილ თამაზ კიკნაძესა და პედაგოგებს: დალი და მაია მაღრაძეებს.

,,კახორის“ რეპერტუარი მრავალფეროვანია. ბიჭები დღესაც

აქტიურად ცდილობენ ქართული ხალხური მრავალხმიანობის შესწავლა-განვითარებას, რათა შეინარჩუნონ წინაპრების დანატოვარი უდიდესი საგანძური და ღირსეულად გადასცენ შთამომავლობას.

ლელა გუგულაშვილი

ქართული სიმღერის კონკურსში ხარაგაულელმა ახალგაზრდებმა უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს

ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის(დირექტორი მაია ბლუაშვილი) საესტრადო წრის მოსწავლეებმა ნინო რამიშვილმა და მარიამ მანჯავიძემ (პედაგოგი დარეჯან გვაძაბია) თბილისში გამართულ კონკურსში გაიმარჯვეს და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით უმაღლესი ჯილდო, გრანპრი დაიმსახურეს. გიორგი ცაბაძის სახელობის ქართული სიმღერის კონკურსი - „ჩემი საქართველო აქ არის“ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. ხარაგაულელმა მოსწავლეებმა ორ-ორი სიმღერა შეასრულეს და ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურეს.

თვითმმართველობის დღე N2 საჯარო სკოლაში

ხარაგაულის №2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის დღე აღინიშნა, რომლის ფარგლებშიც აღსაზრდელებმა წარმოადგინეს საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებული პრეზენტაციები, შეასრულეს ჯგუფური სამუშაოები და მთლიანად სასწავლო პროცესი მათ მიჰყავდათ. ამავე დღეს პედაგოგების: თამარ მაღრაძისა და რუსუდან თაბაგარის ძალისხმევით, ფრანგულენოვანი ღონისძიება ჩატარდა.

მე-2 საჯარო სკოლის დირექტორის, ვალერი გოგნაძის, განმარტებით, თვითმმართველობის დღე მიზნად ისახავს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, რათა შემდგომში დამოუკიდებლად შეძლონ საქმის წარმართვა. „სკოლას გააჩნია თავისი ბეჭდვითი ორგანო „მნათობიერი“, რომელიც წელიწადში ერთხელ გამოდის და მასში აღწერილია სკოლის მთელი წლის მუშაობა, მათ შორის თვითმმართველობის დღეც.“ – აღნიშნა გოგნაძემ.

გოგა აბაშიძე, რომელიც ამავე დღეს „სკოლის დირექტორის“ თანამდებობას იკავებდა, ამბობს, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები შემდგომში კარიერულ წინსვლაში დაეხმარება.

„სასწავლო ნაწილის გამგე“, XII კლასის მოსწავლე, ანი აბაშიძე, განმარტავს, რომ ბავშვებისათვის ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია,

რადგან დამოუკიდებლობას ეჩვევიან.

IX კლასის მოსწავლე თამარ ჭიპაშვილი თვლის, რომ მასწავლებლობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა. თამარს თვითმმართველობის დღე ძალიან მოსწონს და ყოველწლიურად დიდი ენთუზიაზმით ელოდება.

თამარ მაღრაძე

ბორის სკოლა-პანსიონის გოგონათა გუნდმა მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი დაიკავა

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალურ ტურში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორის სკოლა-პანსიონის გოგონათა გუნდმა მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი მოიპოვა. ოლიმპიადა ქუთაისში გაიმართა და ხარაგაულელებმა ზესტაფონის გუნდი დაამარცხეს.

აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები ღირსეულად წარდგნენ და წარმატებით იასპარეზეს. კერძოდ, ბადმინტონის ტურში ხარაგაულის №3 საჯარო სკოლის ვაჟთა და ხარაგაულის №2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდებმა მეორე ადგილი დაიმსახურეს. ხევის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა კი - გეზრბენში მეორე ადგილი მოიპოვა.

საჯარო სკოლების მონაწილეობას სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზდრობის საქმეთა სამსახური უწევდა ორგანიზებას.

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებზე ლექცია-სემინარი ჩატარდა

რა არის ფარისებრი ჯირკვალი, რით გვემუქრება იოდის ნაკლებობა, როგორ ამოვიცნოთ ეს დაავადება და როგორ დავიცვათ თავი იოდდეფიციტისგან - აღნიშნულ თემებზე ხარაგაულის N3 საჯარო სკოლაში ლექცია-სემინარი ჩაატარა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწემ, ნანა ბერაძემ.

„ფარისებრი ჯირკვალი ყელის მიდამოში მოთავსებული პატარა, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ორგანოა და მისი ნორმალური ფუნქციონირება დამოკიდებულია ორგანიზმის იოდით მომარაგებაზე,“ -აღნიშნა ნანა ბერაძემ და განმარტა, რომ იოდდეფიციტური დაავადებები ხელს უშლის ორსულობის ნორმალურ მიმდინარეობას, ბავშვებში კი - ფიზიკურ და გონებრივ შეფერხებას განაპირობებს.

ნანა ბერაძის თქმით, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური გამოკვლევა აუცილებელია. თუ ადამიანი უჩივის შემდეგ სიმპტომებს: წონაში უმიზეზო კლება/მატება, აღგზნებადობა, გადამეტებული ემოციურობა, ოფლიანობა, შიშის გრძნობა, უძილობა, ხასიათის ხშირი ცვლილება, გულის ფრიალი, მაჯისცემის გახშირება, ხელების კანკალი, სისუსტე, მაღალი ტემპერატურის აუტანლობა, ამ შემთხვევაში შეიძლება პაციენტს აღენიშნებოდეს ჰიპერთირეოზი (პროცესი, როცა ფარისებრი ჯირკვალი საჭიროზე მეტ ჰორმონს გამოიმუშავებს). ასევე, როცა ადამიანი უჩივის: წონის მატებას, დეპრესიულობას, აპათიურობას, კანის სიმშრალეს, თმის ცვენას, ფრჩხილების მტვრევადობას, შეკრულობას, მეხსიერების დაქვეითებას, ძილიანობას, მაჯისცემის შენელებას, მცივანობას, ასეთი სიმპტომების დროს შეიძლება იყოს ჰიპოთირეოზი (როცა ორგანიზმში ფარისებრი ჯირკვალის ჰორმონები საჭირო რაოდენობით არ გამომუშავდება).

ნანა ბერაძე აღნიშნავს, რომ დაავადების პროფილაქტიკისთვის საუკეთესო საშუალებაა იოდიზირებული მარილის რეგულარული გამოყენება, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იოდშემცველი პროდუქტების მიღებას.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12